ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება:**g-41. 41233003**

თარიღი:**27/10/2023**

ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, სენაკის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი, მე-2 პუნქტების და მე-4 პუნქტების, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად და სენაკის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 12. 10 №40-402328591 მომართვის საფუძველზე,

1. მოწონებულ იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, სენაკის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული სენაკის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერი) წინადადება.

2. განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (შემდგომში - ფონდი) დასაფინანსებელი სენაკის მუნიციპალიტეტის პროექტების ნუსხა თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად.

3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროექტების მუნიციპალიტეტის მიერ თანადაფინანსება განხორციელდეს სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით და „განისაზღვროს პროექტების ჯამური ღირებულების ფარგლებში, შესაბამის წელს ასანაზღაურებელი თანხების არანაკლებ 5%-ის ოდენობით, გარდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების 3^1 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

4. ნება დაერთოს მერს, ეს განკარგულება და ამ განკარგულებით მოწონებული წინადადება (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით განსაზღვრული დოკუმენტაცია) წარადგინოს საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო რწმუნებულთან არსებულ სამხარეო საკონსულტაციო საბჭოსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში

5. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერს.

6. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.

7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის:ქ.სენაკი,შ რუსთაველის ქ,№247)

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქ.სენაკი,4100 შ.რუსთაველის ქ.№243 243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia ტელ: 0413 27 60 60, 27 50 16 ელ-ფოსტა: sakrebulo.senaki@gmail.com ვებ: www.senaki-sakrebulo.gov.ge